# ოქმი N10

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

22 ივლისი 2025 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. გოჩა ქაჯაია
3. მზია ლემონჯარია
4. გივი ლატარია
5. აკაკი ხურცილავა
6. მაკა ჩარტია
7. ნინო ბოკუჩავა
8. ლელა ადანაია
9. ია ჯიშკარიანი
10. გიორგი გვასალია

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

## დღის წესრიგი

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი.**

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

## დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს: მ. თათარიშვილი** - მომხსენებელმა განაცხადა, მიმდინარე წლის 2 აპრილს ცვლილებები შევიდა „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში. კანონის სათაურში და ტექსტში ტერმინი „გენდერული თანასწორობა“ იცვლება „ქალისა და მამაკაცის თანასწორობით“. „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის $1^1$ პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია შექმნას ქალითა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: **10 ;** წინააღმდეგი: **არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ განმარტებით ბარათთან ერთად ინიცირების წესით წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე შემდგომი განხილვის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე მ. თათარიშვილი მედეა თათარიშვილი